

ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა პირველი შესახვევი N5 საცხოვრებელი სახლის N22 ბინაზე, მოქალაქე ცირა ჯავახაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ავტომშენებლის ქუჩა პირველი შესახვევი N5/22 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ცირა ჯავახაძის წარმომადგენლის ლაშა ჩალიგავას განცხადება /2014 წლის 24.04 №-2868/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა პირველი შესახვევი N5 საცხოვრებელი სახლის N22 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე ცირა ჯავახაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა პირველი შესახვევი N5 საცხოვრებელი სახლის N22 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ცირა ჯავახაძეს /პირადი N01027074327/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა პირველი შესახვევი N5 საცხოვრებელი სახლის N22 ბინაზე, საერთო ფართობი 30,00 კვ.მ, /საცხოვრებელი ფართობი 17,60 კვ.მ, დამხმარე ფართობი 12,40 კვ.მ./ მოქალაქე ცირა ჯავახაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ნ.მიქიაშვილი